ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 114

17 აპრილი
"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 31 მაისის №კოლ-176 ბრძანებით დადგენილი ქალაქმშენებლობითი პირობებისა და 2008 წლის 14 თებერვლის №01/434 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის, "ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების 23-ე მუხლის, 4^1 პუნქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 2 აპრილის №04/6692 წერილის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 31 მაისის №კოლ-176 ბრძანებით დადგენილი ქალაქმშენებლობითი პირობებისა და 2008 წლის 14 თებერვლის №01/434 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმა.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დაავით აღმაშენებლის ხეიანი, მე-12 კმ. №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**